F 171
1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა
# კ რ ე ბ უ ლ ი

**2**

# С Б О Р Н И К
## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

Контрольный экземпляр

თბილისი 1972

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 6 დეკემბრის ბრძანება № 787

**საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 23 ნოემბრის № 653 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ**

რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან და წარმოება-დაწესებულებებთან ერთად გარკვეული მუშაობა გასწიეს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესასრულებლად და სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად. ამ მხრივ კარგი მუშაობა ჩაატარეს და 1971-72 სასწავლო წლის კონტინგენტის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს აჭარის ასს რესპუბლიკამ (102,6%), ქ. რუსთავმა (105,4%), ზუგდიდმა (100,0%), ახალციხის (104,0%), გარდაბნის (102,0%), ლანჩხუთის (104%), წულუკიძის (102,4%), ბოლნისის (100,0%), ბორჯომის (101,0%), ვანის (101,0%), გორის (100,0%), ზესტაფონის (100,0%), ქარელის (100,0%), ლაგოდეხის (101,0%), მესტიის (100,0%), ორჯონიკიძის (100,0%), სამტრედიის (100%), თელავის (100,2%), ცხაკაიას (101,0%), ჩოხატაურისა (100,2%) და ჩხოროწყუს (100,0%) რაიონებმა.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, მთლიანად რესპუბლიკაში არ შესრულდა საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა: ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 49026 მოსწავლისა, სწავლობს 44729 ახალგაზრდა, რაც გეგმის 91,3%-ს შეადგენს.

რესპუბლიკის ზოგ რაიონში ან სრულიად არ არის, ან ძალზე მცირე რაოდენობითაა საღამოსა და დაუსწრებელი სკოლები; დე-

შეთისა და ყაზბეგის რაიონებში სრულიად არ არის ამ ტიპის სკო-ლები და ეს მაშინ, როცა პირველში აღრიცხულია ჩასაბმელი [illegible] ტინგენტი 1415 კაცი, მეორეში კი 208. განსაკუთრებით არადამაკმა-ყოფილებლად იმუშავეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (66,1%), ქ. თბილისის (74,0%), აბაშის (71,0%), ლენტეხის (69,%), დმანისის (72,0%), თიანეთისა (64,0%) და რესპუბლიკის ზოგი სხვა რაიონის და ქალაქის სახალხო განათლების ორგანოებმა.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შეუსრულებლობა მნიშვნელოვანწილად შეპი-რობებულია იმით, რომ ადგილებზე არასაკმაო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ტარდება რვაწლიანი და საშუალო განათლების არამქონე 16-35 წლის ასაკის ახალგაზრდობასთან. დღემდე ყველგან არ სრულდება სათანადო ასაკის ახალგაზრდობის ცოდნის დონის ამაღ-ლების პერსპექტიული გეგმა.

წარმოებაში დასაქმებული რვაწლიანი და საშუალო განათლე-ბის არამქონე ახალგაზრდობის სწავლების გეგმიური დავალებანი არ არის. შედგენილი ყოველი წარმოებისათვის, მშენებლობისათვის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის. ამ საქმეში სრუ-ლიად არადამაკმაყოფილებელ დახმარებას უწევენ მშრომ. დეპ. საბ-ჭოებს საღამოს სკოლების პედკოლექტივები, მათი ხელმძღვანელე-ბი და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები. ცალკეული პროფესიების მუშებისათვის ჯერ კიდევ არ არის დაწესებული საჭი-რო ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის მინიმუმი. წარმოება-დაწესე-ბულებათა დიდ ნაწილს დღემდე არა აქვს თავის გეგმაში მუშე-ბისა და კოლმეურნეების ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დავალებანი.

არაიშვიათად ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა საღამოს სკოლას მტკიცედ არა აქვს განსაზღვრული თავისი სამოქმედო მიკ-რორაიონი და სკოლაში ჩასარიცხი კონტინგენტი.

რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში ადგილი აქვს მოსწავლეთა დიდ დენადობას: გასულ, 1970/1971 სასწავლო წელს სკოლებიდან გავიდა 11436 ახალგაზრდა, აქედან არასაპატიო მიზეზით — 5796. ამავე დროში შემოვიდა სწავლის გასაგრძელებ-ლად 6780 მოსწავლე.

ყოველივე ზემოხსენებულის გამო, რესპუბლიკის ზოგიერთ ქა-ლაქსა და რაიონში მკვეთრად მცირდება ამ ტიპის სკოლებისა და მათში ჩაბმულ მოსწავლეთა რიცხვი, რაც იწვევს არამარტო ცალკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული კლასების, არამედ თვით მთელი სკოლების დახურვასაც კი. ასე, მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისისათვის კონტინგენტის სიმცირის გამო დაიხურა საგარეჯოს რაიონის სოფ. გომბორის, ცხინვალის რაიონის სოფ. დამპალეთის, ქ. ფოთის, დაბა ჩოხატაურისა და მაიაკოვსკის დაუსწრებელი, გეგეჭკორის რაიონის სოფ. სალხინოსა და სხვა სკოლები.

როგორც საკითხის შესწავლით გამოირკვა, ადგილებზე შენელდა მუშაობა წარმოებაში დასაქმებული ახალგაზრდების სწავლებაში ჩასაბმელად, პროფკავშირული, კომკავშირული, და სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის საზოგადოებრივი დათვალიერების შემდგომი გაგრძელებისათვის; მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცკ-ის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებით 1971-1975 წლებში ტარდება პროფკავშირული, კომკავშირული და განათლების ორგანოების მუშაობის დათვალიერება სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ახალგაზრდობაში მასობრივი მოძრაობის გასაშლელად დევიზით — „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს საშუალო განათლება", რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოები არასაკმაო კავშირს ახორციელებენ სათანადო საწარმოებთან, დაწესებულებებთან, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, არ იყენებენ ამ კავშირის განსამტკიცებლად საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მუდმივმოქმედ ხელშემწყობ კომისიებს.

არადამაკმაყოფილებელია სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, რის გამოც საჭიროებისას ცვლიანი მეცადინეობის მოწყობა არ ხერხდება.

დღემდე გრძელდება ისეთი არანორმალური მდგომარეობა, როდესაც ახალი სასწავლო წლისათვის ქალაქის, რაიონის მომზადების საკითხის შეფასებისას არ ითვალისწინებენ ამ საქმეში საღამოს სკოლების მიერ ჩატარებული მუშაობის მაჩვენებლებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ 1972/1973 სასწავლო წლისათვის საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების კონტინგენტის გეგმის შესასრულებლად. მიაღწიონ ამ საქმით სათანადო საწარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა დაინტერესებას;

ბ) ენერგიული ზომები მიიღონ, რათა ადგილობრივ პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად 1971—1975 წლებში მაღალ დონეზე ჩაატარონ საზოგადოებრივი დათვალიერება დევიზით — „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს — საშუალო განათლება“;

გ) ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით მიაღწიონ შესაბამისი საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სამუშაო გეგმებში 16-35 წლის ასაკის რვაწლიანი და საშუალო განათლების არამქონე ახალგაზრდების ცოდნის დონის ამაღლების დავალებათა შეტანას;

დ) იზრუნონ სკოლების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის განსამტკიცებლად;

ე) დაუყოვნებლივ შექმნან და განამტკიცონ სკოლების მუდმივმოქმედი ხელშემწყობი კომისიები (საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული, 1960 წ. № 10), გამოიყენონ ისინი სკოლასა და წარმოებას შორის კავშირის განმტკიცების იარაღად.

2. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებმა:

ა) 1972/1973 წლის კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესასრულებლად ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატარონ სათანადო განათლების არამქონე 16-35 წლის ასაკის ახალგაზრდებს შორის;

ბ) მიიღონ ზომები 1971-1975 წლებში პროფკავშირული, კომკავშირული და განათლების ორგანოების მუშაობის დათვალიერების მაღალ დონეზე ჩასატარებლად დევიზით — „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს საშუალო განათლება“;

გ) საყოველთაო ათწლიან სწავლებაზე გადასვლის პრაქტიკულად განხორციელების მიზნით, მოაწყონ კონსულტაციები სწავლაში დიდი წყვეტის მქონე ახალგაზრდებისათვის მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად.

3. ეთხოვოს საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმს:

ა) რჩევა მისცეს წარმოება-დაწესებულებებს, მშენებლობებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, შეიტანონ საწარმოო გეგმაში მუშებისა და მოსამსახურეების ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დავალებანი, რომელთა შესრულების მაჩვენებლები

მხედველობაში მიიღონ საწარმოს საქმიანობის შედეგების განსაზღვრისას;

ბ) წარმოება-დაწესებულებებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცალკეული პროფესიების მუშებისა და კოლმეურნეებისათვის დააწესონ ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის მინიმუმი.

4. ეთხოვოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს:

ა) დაავალოს საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, მიიღონ ზომები განათლების არამქონე ახალგაზრდების სწავლებაში ჩასაბმელად;

ბ) გაატაროს გარკვეული ღონისძიებანი საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება-გამდიდრებისათვის;

გ) ალკკ ადგილობრივი ორგანოებიდან მოისმინოს ინფორმაციები საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ.

5. ეთხოვოს განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს, დაავალოს პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს გაატარონ მათთვის შესაძლებელი ღონისძიებანი საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესასრულებლად.

6. მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის, აბაშის, ამბროლაურის, ახალქალაქის, დმანისის, კასპის, ლენტეხის, თიანეთის, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონების განათლების განყოფილებანი (გამგეები ამხ. ამხ. გ. ძაგოევი, თ. ეგაძე, ნ. ფოჩხუა, მ. ჭიროვაია, კ. კარახანიანი, ა. მანსუროვი, ო. ორჯოლაძე, ჯ. ონიანი, ელ. თურქიაშვილი, ა. ბალხამიშვილი, გ. კურკუმული) არადამაკმაყოფილებელი მუშაობისთვის და დაევალოთ მათ, 1972 წლის 20 თებერვლისათვის წარმოუდგინონ ანგარიში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზემოხსენებული ბრძანების შესასრულებლად მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ/ ვლ. ჩინჩალაძემ) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი:

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 3 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 27 დეკემბრის ბრძანება № 781

### ცხინვალის რაიონის ერედვის საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ

გავეცანი რა ცხინვალის რაიონის ერედვის საშუალო სკოლის მუშაობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ სკოლის დირექცია სათანადოდ ვერ ახორციელებს პედაგოგიური კოლექტივისადმი ხელმძღვანელობასა და კონტროლს, რის შედეგადაც სკოლის მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც ხელს უშლის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორად წარმართვის საქმეს.

სკოლის დირექტორი ა. არბოლიშვილი არ აკონტროლებს მასწავლებელთა მუშაობას. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არ აქვს მოსმენილი და გაანალიზებული არცერთი გაკვეთილი.

დირექცია არ უწევს სათანადო დახმარებას საგნის მასწავლებლებს, უყურადღებოდ არის მიტოვებული სკოლაში საგნობრივი მეთოდური გაერთიანებები, დაბალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე ტარდება გაკვეთილები.

განსაკუთრებით სუსტად ასწავლიან საგანს: ნ. მაისურაძე, ვ. ხეთაგური (მშობლიური ენა და ლიტერატურა), ზ. ბერუაშვილი, ი. ფუხაევი (ისტორია), ი. ქელეხსაშვილი (მათემატიკა) და სხვ.

ცუდად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი, მასში არ არის დაცული თანაფარდობა მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ საგნებს შორის. საკონტროლო წერით სამუშაოთა განრიგი მოძველებულია, არ ითვალისწინებს ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებულ სიახლეებს.

სუსტად მუშაობს პედაგოგიური საბჭო. ოქმები იწერება გაუმართავი, უწიგნური ენით. სხდომებზე არ იხილავენ სკოლის წინაშე მდგომ მნიშვნელოვან ამოცანებს.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის აგრეთვე დირექტორის მოადგილე ს. ცოტნიაშვილს და ისტორიის მასწავლებელ ბ. ბერუაშვილს შორის არაჯანსაღი ურთიერთობა.

ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ცხინვალის რაიონის ერედვის საშუალო სკოლის დირექციამ:

ა) გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეთა შორის მუშაობას;

ბ) გაზარდოს მასწავლებელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა მომზადების დონის ამაღლების საქმეში, მიაღწიოს იმას, რომ ყველა მასწავლებელი განუწყვეტლივ მუშაობდეს თავისი მეცნიერული დონის ამაღლებისა და პროფესიული დახელოვნებისათვის, გულდასმით ემზადებოდეს ყოველი გაკვეთილისათვის და მაღალ იდეურ, მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე ატარებდეს მას;

გ) თავის მუშაობაში იხელმძღვანელოს განათლების სამინისტროს სადირექტივო მითითებებითა და ინსტრუქციებით.

2. სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და უინიციატივობის გამო სკოლის დირექტორი ა. არბოლიშვილი განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

3. საგნის სუსტი სწავლებისა და პედაგოგისათვის შეუფერებელი, უტაქტო საქციელისათვის, სკოლის პედკოლექტივში არაჯანსაღი ვითარების შექმნისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური მასწავლებელ ბ. ბერუაშვილს.

4. საგნის არადამაკმაყოფილებლად სწავლებისათვის გამოეცხადოთ საყვედური ნ. მაისურაძეს, ვ. ხეთაგურს, ი. ფუხაევსა და ი. ქელეხსაშვილს.

5. სამხრეთ ოსეთის ა. ო. განათლების განყოფილებამ (გ. ძაგოევი) ცხინვალის რაიონის განათლების განყოფილებასთან (ამხ. ხ. ჩიბიროვი) ერთად განიხილოს ეს ბრძანება სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი ერედვის სკოლაში მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად; განიხილოს და გადაწყვიტოს სუსტად მომუშავე მასწავლებლების გადაჯგუფების საკითხი.

6. სკოლების სამმართველომ (აკ. ჩხიკვაძე): ა) დააწესოს ზედამხედველობა ამ ბრძანების შესრულებაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ს. ცოტნიაშვილის საკითხი განსახილველად წარმოადგინოს კოლეგიის უახლოეს სხდომაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 3 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი — თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 28 დეკემბრის ბრძანება № 784

### ქ. ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილების მიერ სკოლამდელი დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობის, დახმარებისა და კონტროლის გაუმჯობესების მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ

გავეცანი რა ქ. ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილების გამგის ამხ. ი. გენძეხაძის ანგარიშს „სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაზე ხელმძღვანელობის, დახმარებისა და კონტროლის გაუმჯობესების მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ“, აღვნიშნავ, რომ განათლების განყოფილება ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად სწორად წარმართავს ამ მიმართულებით მუშაობას:

ეფექტურ ღონისძიებებს ატარებს სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ამაღლების, ქსელის გაფართოებისა და მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის; საჭირო დახმარებას უწევს სხვადასხვა უწყებათა სკოლამდელ დაწესებულებებს, გადამჭრელ ზომებს ღებულობს ამ დაწესებულებათა მუშაობაში საშეფო ორგანიზაციების, საწარმოო დაწესებულებებისა და საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმისათვის; რეგულარულად იხილავს სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე მთავრობის დადგენილებებს, განათლების სამინისტროს ბრძანებებს, საინსტრუქციო და მეთოდური ხასიათის წერილებს დროულად აცნობს თითოეულ სკოლამდელ დაწესებულებას და თვალყურს ადევნებს მათ პრაქტიკულ განხორციელებას; პერიოდულად სწავლობს დადგენილებათა და ბრძანებათა შესრულებას და ხელმძღვანელ ორგანოებთან ერთად სახავს ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გეგმიან, კონკრეტულ და შინაარსიან მუშაობას ეწევა განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გამგე მ. ახვლედიანი), რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს სკოლამდელ დაწესებულებებში მოპოვებულ მიღწევებს.

რესპუბლიკის სკოლამდელი დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობის, დახმარებისა და კონტროლის გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამ ბრძანებასთან ერთად სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგის ამხ. ი. გენძეხაძის ანგარიში „სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაზე ხელმძღვანელობის, დახმარებისა და კონტროლის გაუმჯობესების მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ", პერიოდულად შეისწავლონ თავიანთ ქალაქში, რაიონში ამ მიმართებით არსებული მდგომარეობა და მიიღონ გადამჭრელი ზომები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

2. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) სისტემატურად შეისწავლოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა მხრივ სკოლამდელი დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების საკითხები და მოამზადოს მასალები კოლეგიის სხდომებზე მოსასმენად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 24 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგის ი. გენძეხაძის ანგარიში სკოლამდელი დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობის, დახმარებისა და კონტროლის გაუმჯობესების მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ

ქ. ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილება უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლების, მატერიალური ბაზის განმტკიცების, ქსელის გაფართოებისა და სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების მხრივ; ამ საქმეში მტკიცედ ხელმძღვანელობს მთავრობის დადგენილებებით, განათლების სამინისტროს ბრძანებებითა და სადირექტივო წერილებით; მთავარ ყურადღებას აქცევს სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვას, რასაც ახორციელებს სკოლამდელი აღზრდის საქალაქო მეთოდური კაბინეტის (გამგე მ. ახვლედიანი) საშუალებით. ამ კაბინეტის მეთოდისტები ზონალურად არიან გაპიროვნებული ყველა უწყების სკოლამდელ დაწესებულებებზე, გაღრმავებულ მუშაობას ეწევიან აღზრდის პროგრამის განაყოფების მიხედვით; სკოლამდელ მუშაკებთან რეგულარულად ატარებენ თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მუშაობას.

განათლების განყოფილება პერიოდულად ამოწმებს მეთოდკაბინეტის მუშაკების მომზადებას, პრაქტიკაშია გასაუბრება სკოლამდელი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საკითხებზე. ყველა მათგანი გაერთიანებულია პოლიტგანათლების ქსელში; ისმენს მათ ანგარიშებს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე, პარტორგანიზაციის კრებებზე და სხვა.

მეთოდკაბინეტთან მუშაობს მეთოდგაერთიანება გამგეებისა, ასაკობრივი ჯგუფებისა და მუსიკის მასწავლებელთა სექციებით. განათლების განყოფილება არჩევს და ამტკიცებს როგორც მეთოდგაერთიანების, ასევე სექციის ხელმძღვანელებს; იხილავს მეთოდკაბინეტის სამუშაო გეგმას. იგი სკოლამდელ დაწესებულებათა გამ-

გეებისაგან მოითხოვს სამეურნეო-ადმინისტრაციული საქმიანობის პედაგოგიურ მუშაობასთან უნარიანად შეხამებას; ამ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სკოლამდელ დაწესებულებებში შიგა მეთოდური კაბინეტების მოწყობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების განყოფილება სისტემატურად აწარმოებს როგორც თავისი, ასევე სხვა უწყების სკოლამდელ დაწესებულებათა ინსპექტირებას, შემოწმების შედეგებს იხილავს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე (მიმდინარე წელს განხილულია 9-ჯერ); ხშირად სკოლამდელი დაწესებულებათა შემოწმებას აწარმოებს საქალაქო საბჭოს დეპუტატების მონაწილეობით.

ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად (საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 18/XII № 135 ბრძანება „საქართველოს სსრ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“) განათლების განყოფილებას მნიშვნელოვანი ღონისძიებები აქვს გატარებული კადრების შერჩევა-დანიშვნის მიმართულებით. სხვა უწყების სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიური კადრები არ ინიშნება განათლების განყოფილებასთან შეთანხმების გარეშე; ამან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კადრების შემადგენლობა (49 გამგიდან 33 უმაღლესი განათლებითაა, ასევე 453 აღმზრდელიდან — 207, დანარჩენი საშუალო პედაგოგიური განათლების მქონეა ან უმაღლესდაუმთავრებელი).

შედეგიანი იყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების მიერ 1970 წელს ჩატარებული ზონალური თათბირ-სემინარი თემაზე „ესთეტიკური აღზრდის ზოგიერთი საკითხი საბავშვო ბაღში“; ამ სემინარზე ქუთაისის სკოლამდელმა მუშაკებმა თავიანთი გამოცდილება განაზოგადეს რესპუბლიკაში. თათბირ-სემინარის მაღალ დონეზე ჩატარებას ხელი შეუწყვეს ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა. აღნიშნული ღონისძიების შედეგად გაუმჯობესდა ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა, კიდევ უფრო განმტკიცდა მატერიალური ბაზა, გამოიცა ბუკლეტები № 1 ბაგა-ბაღის, № 27 და მაუდის ფაბრიკის საბავშვო ბაღების მუშაობის გამოცდილებიდან.

პრაქტიკული ღონისძიებები ტარდება სკოლამდელი კადრების კვალიფიკაციის გაუმჯობესებისა და იდეურ-პოლიტიკური დონის

ამაღლებისათვის. ფართოდაა გამოყენებული მოწინავეთა გამოცდილების შესწავლა-განზოგადება (ღია მეცადინეობანი, მეთოდგაერთიანებები, პედაგოგიური თათბირები). სკოლამდელ მუშაკთა პედაგოგიური კვალიფიკაციისა და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების მიზნით ა. წულუკიძის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ძალებით სკოლამდელ მუშაკებთან იკითხება ლექცია-მოხსენებები ბავშვის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის საკითხებზე.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ესთეტიკური აღზრდის სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც ჩაბმულია სკოლამდელ მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი. განათლებისა და კულტურის განყოფილებათა ინიციატივით შექმნილია მხატვართა და არქიტექტორთა ჯგუფი, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა შენობებისა და ეზოების თანამედროვე ესთეტიკურ მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობა-გაფორმებისათვის.

გატარებული ღონისძიებების შედეგად სკოლამდელ დაწესებულებებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ეს განსაკუთრებით ითქმის №№ 3, 7, 13, 17, 20, 23, 26, 27, 29, მინისტარის, მაუდის, სამკერვალო ფაბრიკის, ტყავფეხსაცმელებისა და აბრეშუმკომბინატის საბავშვო ბაღებსა, №№ 1, 2, 3, 4 და სანატორიულ ბაგა-ბაღების შესახებ (გამგეები: ა. ჭეიშვილი, ნ. ჯაფარიძე, ყ. ყანთელაძე ,ე. თუმანიშვილი, თ. უშვერიძე, ი. ებრალიძე, ლ. კინწურაშვილი, თ. ბიბილეიშვილი, ო. ჯილესაშვილი, დ. ჯაფარიძე, ლ. გოგიბერიშვილი, მ. ქაჯაია, ნ. გაჩეჩილაძე, შ. გოგოლაძე).

ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან და მაღალი პედაგოგიური კულტურით და ტაქტით გამოირჩევიან აღმზრდელები — ვ. ხურციძე, მ. ქელბაქიანი, ა. ბუხაიძე, ნ. რატიანი, ც. გოგოლაშვილი, ნ. ჩიხლაძე, ქ. ბერუჩაშვილი, ტ. ბიკუში, ლ. უგლავა, ნ. ჭოხონელიძე, ნ. გიორგობიანი და სხვები.

ქ. ქუთაისის განათლების განყოფილება სათანადო ყურადღებას უთმობს ბავშვთა კონტინგენტის გეგმის შესრულებას. სიზუსტით აწარმოებს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღრიცხვას და ჩაბმას სკოლამდელ დაწესებულებებში; ამის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა მდგომარეობა: თუ 1960 წელს საბავშვო ბაღებში ირიცხებოდა 2417 ბავშვი, დღეისათვის მათი რიცხვი 2-ჯერ გაიზარდა და 4890-ს აღწევს. ბავშვთა მცირე ნაწილია დარჩენილი სკოლამდელ დაწესებულებათა გარეშე, მ/წელს მოსამზადებელ და პირველ კლასებში 4344 ბავშვიდან 4000-მდე სკოლამდელი დაწესებულებიდან

მივიდა, რამაც დადებითი გავლენა იქონია მათ აკადემიურ მოსწრე-
ბაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ .ქუთაისის სკოლამდელი მუშაკები პედაგოგიურ მუ[illegible]
კარგად უხამებენ საზოგადოებრივ საქმიანობას: განათლების განყო-
ფილება აფასებს ამ შრომას და ატარებს ღონისძიებებს მათი წახა-
ლისებისათვის. ბევრ მათგანს მიღებული აქვს ღირსეული ჯილდო;
მაგალითად, შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია
2 მუშაკი (№ 4 ბაგა-ბაღის გამგე ნ. გაჩეჩილაძე და აბრეშუმის კომ-
ბინატის საბავშვო ბაღის აღმზრდელი ნ. ჯიშკარიანი), მედლით
„შრომითი მამაცობისათვის დაჯილდოებულია 37 აღმზრდელი, ლე-
ნინის „საიუბილეო მედლით“ — 66, მედლით „კავკასიის დაცვისა-
თვის“ — 16, სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებუ-
ლი“ — 17, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის
საპატიო წოდება მინიჭებული აქვს 9 სკოლამდელ მუშაკს.

განათლების განყოფილებამ დაწყებითი განათლებისა და სკო-
ლამდელი აღზრდის სპეციალისტების საშუალებით შეისწავლა მსუ-
ბუქი მრეწველობის სისტემის სკოლამდელ დაწესებულებებში გახს-
ნილი მოსამზადებელი ჯგუფების მუშაობა და მ/წლის 29/X-ს საკი-
თხი განიხილა სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე.

f 3659

ყველა ზომაა მიღებული საქართველოს სსრ დაწესებულებებსა
და ორგანიზაციებში სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების
შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის
24/VII № 10-234 წერილის „სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვ-
თა კონტინგენტის შესრულების, თანამშრომელთა დატვირთვისა და
დღის მეორე ნახევრის მუშაობის ორგანიზაციის შემოწმების შედე-
გების შესახებ“ ცხოვრებაში გასატარებლად. წარმოებაში ჩაბმულ
მცოცავი გრაფიკით მომუშავე ქალების ბავშვებისათვის გახსნილია
7 სადღეღამისო ჯგუფი.

იმისათვის, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალური აღ-
ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელია მატერიალური ბაზის შექ-
მნა, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორცი-
ელება განათლების განყოფილებამ მატერიალური ბაზის შესწავ-
ლით დაიწყო. ქ. ქუთაისში, რომელსაც სკოლამდელი აღზრდის
დარგში კარგი ტრადიცია აქვს, ამ დაწესებულებათა გარემო ჯერ-
ჯერობით მაინც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. 1960 წლის 32
საბავშვო ბაღიდან მხოლოდ 3 (საავტომობილო ქარხნის № 1, 2 და

რიონჰესის საბავშვო ბაღი) იყო მოთავსებული ტიპობრივი პროექტის მიხედვით აგებულ შენობებში, დანარჩენს მუშაობა უხდებათ შეგუებულ და ავარიულ შენობებში. დღეისათვის ტიპობრივი პროექტით აგებულ შენობათა რაოდენობა 26-ს აღწევს, ე. ი. ნახევარზე მეტს (სულ 49 სკოლამდელი დაწესებულებაა). განათლების განყოფილების რჩევით ახალი ტიპობრივი შენობები აუგეს თავიანთ საბავშვო ბაღებს სამკერვალო ფაბრიკამ, ტყავფეხსაცმელებისა და აბრეშუმის კომბინატებმა, საავტომობილო, მინისტარისა და ლითოფონის ქარხნებმა, რკინიგზის განყოფილებამ და სხვ. მრავალ სკოლამდელ დაწესებულებაში, მათი გაფართოების მიზნით ჩატარდა რეკონსტრუქცია. ყურადღება ექცევა შენობათა ფონდის მოვლა-პატრონობას. შენობებს დროულად უტარდება რემონტები. 1971 წელს კაპიტალური რემონტისათვის დაიხარჯა 50.500, ხოლო მიმდინარე რემონტისათვის 17.200 მანეთი.

სკოლამდელ დაწესებულებებში დიდი რაოდენობით შეიცვალა ძველი დგამ-ავეჯი. აღნიშნულ საქმეში განათლების განყოფილებამ კარგად გამოიყენა ქ. ქუთაისის საავეჯო საწარმოები. მარტო მიმდინარე წელს შეძენილ იქნა 44.666 მანეთის მაგარი და რბილი ინვენტარი, 16.557 მანეთის თვალსაჩინო, დიდაქტიკური მასალა და სათამაშოები.

განათლების განყოფილების მიერ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებში საკითხის დაყენების შედეგად, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში აქტიურად ჩაებნენ საშეფო ორგანიზაციები. მიმდინარე წელს საავტომობილო ქარხანამ რემონტი ჩაუტარა განათლების განყოფილების №№ 8, 28 საბავშვო ბაღებსა და № 1 ბაგა-ბაღს, რისთვისაც 9.000 მანეთი დახარჯა, ამავე ქარხანამ 500 მანეთის სპორტული ინვენტარი დაუმზადა № 25 საბავშვო ბაღს. საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატმა № 24 საბავშვო ბაღს შეუძინა 1550 მანეთის, ხოლო № 26 საბავშვო ბაღს — 2500 მანეთის ინვენტარი. ანალოგიურ დახმარებას სხვა საბავშვო ბაღებსაც უწევენ საშეფო ორგანიზაციები.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მშობელთა აქტივი, მათი ძალებით რემონტი ჩაუტარდა №№ 23, 31 საბავშვო ბაღებს, ჩატარდა სამუშაოები ეზოების კეთილმოწყობისათვის.

1965 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და პედაგოგიური სა-

ზოგადოების მიერ ჩატარებული სკოლამდელ დაწესებულებათა ეზოებისა და შენობების მხატვრული გაფორმების დათვალიერების შედეგად დიდი ყურადღება მიექცა ეზოების კეთილმოწყობას, რაც დღემდე გრძელდება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან №№ 3, 5, 7, 13, 16, 17, 23, 27, 29 საბავშვო ბაღები და №№ 1, 2 სანატორიული ტიპის ბაგა-ბაღები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლამდელ დაწესებულებათა პედაგოგიური და მომსახურე პერსონალის პასუხისმგებლობის ამაღლების, ამ დაწესებულებათა მუშაობაში მშობლების, საწარმოო დაწესებულებების, საშეფო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმის საშუალებად განათლების განყოფილება მოხერხებულად იყენებს საქალაქო, რესპუბლიკურ და საკავშირო დათვალიერებებს, რომლებიც მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით ხშირად ტარდებოდა უკანასკნელ წლებში.

ქ. ქუთაისის განათლების განყოფილება შეუნელებელ ყურადღებას აქცევს აღსაზრდელთა გაკაჟება-გაჯანსაღებას; მ/წლის ზაფხულში 1716 ბავშვი იქნა გაყვანილი აგარაკებზე, ხოლო ადგილზე გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში იყო ჩაბმული 1950 სკოლამდელი.

ცხადია, ჯერ კიდევ მრავალი საკითხი არ არის სათანადოდ მოგვარებული, მაგრამ განათლების განყოფილება ეცდება იგი მოკლე დროში გამოასწოროს.

ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების
გამგე ი. გენძეხაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 29 დეკემბრის ბრძანება № 788

### სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნასთან დაკავშირებით მშრომელთა საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ

განათლების ორგანოები და სკოლები, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს, მეტ ყურადღებას უთმობენ შრომის კანონმდებლობის საკითხებს, რის შედეგად საგრძნობლად შემცირდა მომუშავეთა უკანონოდ დათხოვნის და გადაყვანის შემთხვევები, ამასთან შემცირდა აგრეთვე საჩივრებიც ამ საკითხთან დაკავშირებით.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში ადგილი აქვს მომუშავეთა არასწორად დათხოვნის ცალკეულ შემთხვევებს (ახმეტა, მარნეული, გარდაბანი, ზნაური).

განათლების ზოგიერთი ორგანო ანგარიშს არ უწევს იმას, რომ სამუშაოდან დათხოვნა უკიდურესი ზომაა, რაც როგორც წესი, გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ დისციპლინარული და საზოგადოებრივი ზემოქმედების ყველა ზომის გატარების შემდეგ.

შემჩნეულია აგრეთვე ისეთი ეშმთხვევებიც, როდესაც მომუშავეთა დათხოვნის შესახებ გამოცემული ბრძანების ფორმულირება და შრომის წიგნაკებში გაკეთებული ჩანაწერები არ ეთანხმება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონთა ძირითად საფუძვლებს.

უკანონოდ დათხოვნილ მუშაკთა სამუშაოზე აღდგენის შემთხვევაში განაცდური დროის ხელფასის ანაზღაურება წარმოებს დაწესებულება-ორგანიზაციის ხარჯზე, იმ დროს, როდესაც ამის ანაზღაურება უნდა დაეკისროს კონკრეტულად დამნაშავე პირთ.

მომუშავეთა დათხოვნის საქმეში შენიშნული დარღვევები ძირითადად იმით აიხსნება, რომ სახალხო განათლების ორგანოებისა და მათდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების ხელმძღვანელები სუსტად ერკვევიან უფლებრივ საკითხებში, არ იციან სსრ კავში-

რისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის ძირითადი საფუძვლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დასახონ და განახორციელონ ქმედითი ზომები დასახელებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრისა და შრომის კანონმდებლობაში გათვალისწინებული წესების ზუსტად გატარებისათვის.

ბ) გააუმჯობესონ სკოლებისა და სხვა დაწესებულებების ხელმძღვანელთა სამართლებრივი აღზრდა;

გ) გააძლიერონ ზედამხედველობა შრომითი კანონმდებლობის განუხრელად გატარების უზრუნველსაყოფად.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მითითებათა შესაბამისად სახალხო განათლების კადრების მომზადება-გადამზადების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მათი სამართლებრივი აღზრდისა და იურიდიული ცოდნის დონის ამაღლების საკითხებს.

3. გაზეთ „სახალხო განათლებამ“ მეტი ყურადღება დაუთმოს განათლების ორგანოებისა და სკოლების მუშაკთა, აგრეთვე მშობელთა სამართლებრივი აღზრდის საქმეს. სისტემატურად გამოაქვეყნოს წერილები შრომის კანონმდებლობის საკითხებზე.

4. კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი — თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 29 დეკემბრის ბრძანება № 792

### მოსწავლეთა და განათლების მუშაკთა ეკონომიური განათლების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება მშრომელთა ეკონომიური განათლების ამაღლების საქმეს, რომელმაც მნიშვნელოვნად უნდა აამაღლოს მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობა, გაზარდოს მათში შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულება და ხელი შეუწყოს მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას კომუნისტურ მშენებლობაში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლე-ახალგაზრდობის ეკონომიური განათლების საქმეს. ამჟამად ეკონომიკისა და წარმოების ორგანიზაციის სწავლება გათვალისწინებულია საზოგადოებათმცოდნეობის, სსრკ ისტორიის, ეკონომიური გეოგრაფიის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, აგრეთვე შრომითი პოლიტექნიკური პრაქტიკუმების პროგრამებში. საბჭოთა კავშირის მთელი რიგი რესპუბლიკების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კლასგარეშე მუშაობის პროცესში მოსწავლეები ეცნობიან კონკრეტული ეკონომიკის, მეურნეობის გაძღოლისა და წარმოებაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებს. მოსწავლეთათვის ეკონომიკის საფუძვლების გაცნობა ეხმარება მათ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებათა კონკრეტულ ეკონომიკაში გარკვევასა და მომავალი პროფესიის უნარისა და მიდრეკილების მიხედვით შერჩევაში.

მაგრამ უკანასკნელ წლებში ამ სფეროში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებების მიუხედავად, მოსწავლეთა ეკონომიური განათლების საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. არადამა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კმაყოფილებლად წარმოებს ეკონომიური ცოდნის პროპაგანდა მასწავლებელთა შორისაც. ეკონომიკის დარგში აუცილებელი მომზადება არ გააჩნიათ სახალხო განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა მნიშვნელოვან ნაწილსაც.

მოსწავლეთა, მასწავლებელთა და სახალხო განათლების ხელმძღვანელ მუშაკთა ეკონომიური განათლების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომისადმი კომუნისტური და სოციალისტური საკუთრებისადმი შეგნებული დამოკიდებულების აღზრდის მიზნით ქმედითი ღონისძიებანი დასახონ ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, ეკონომიური გეოგრაფიის და შრომის გაკვეთილებზე, აგრეთვე კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებების დროს ეკონომიური საკითხების სწავლების გასაუმჯობესებლად;

ბ) სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში სისტემატურად მოაწყონ ლექციები, საუბრები ეკონომიკის საფუძვლებისა და წარმოების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) 1972 წლის განმავლობაში სკოლის დირექტორებისა და სახალხო განათლების ხელმძღვანელი მუშაკებისათვის მოაწყოს 5 დღიანი თათბირ-სემინარი სახალხო განათლების ეკონომიკისა და დაგეგმვის საკითხებზე.

3. მეთოდურმა განყოფილებამ (ამხ. ვ. ცაავა) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან ერთად მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე შეიმუშაოს ფაკულტატიური კურსების — „სამრეწველო წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის“ და „სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკა და ორგანიზაცია“ პროგრამები და მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე განსახილველად წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

4. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ეკონომიკის საკითხების სწავლების შესახებ.

5. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევა-ლოს სკოლების სამმართველოს (ამხ ა. ჩხიკვაძეს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 24 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი — თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 30 დეკემბრის ბრძანება № 796

### ონის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

როგორც სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, ონის რაიონის ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობაში არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს აქვს ადგილი.

შემოწმებულ ზოგიერთ სკოლაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეს და შექმნილი არაა სათანადო პირობები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნორმალური წარმართვისათვის (გლოლის, ირის, სორის, კვაშხიეთის საშუალო; ქვედის რვაწლიანი სკოლები). სკოლების ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოებისათვის საჭირო სათავსოების გამოყოფაზე. ზოგჯერ ამ მიზნისათვის გამოყოფილი ოთახები მცირე ფართობისაა და უხარისხო, მაშინ, როდესაც სკოლები ერთ ცვლაში მუშაობენ.

ამ სკოლების სასწავლო კაბინეტები, სახელოსნოები, საკლასო ოთახები და სხვა სათავსოები შევსებული არაა ყველა საჭირო დგამ-ავეჯით. აკლიათ სადემონსტრაციო და ლაბორატორიული მაგიდები, კარადები, სკამები, ტანსაცმლის საკიდები, დაწყებითი კლასებისათვის საჭირო დახაზულობის საკლასო დაფები და ამწოვი კარადები. სასწავლო კაბინეტებსა და სახელოსნოებში არ მოეპოვებათ საკმაო რაოდენობით ხელსაწყო-იარაღები, ჭურჭელი, რეაქტივები, დაზგები, ჩარხები, დამხმარე მასალები; სახელოსნოებში მოწყობილი არაა მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები.

რაიონის ბევრი სკოლა შემოწმების დროისათვის სათანადოდ არ იყო მომზადებული ზამთრის სეზონისათვის. შემოზიდული არის ნორმით გათვალისწინებული სათბობის რაოდენობა, საკლასო ოთახებში და სხვა სათავსოებში მოუწყობელია თუნუქის ღუმელების დასადგმელი ადგილები და შემოწმებული არაა საკვამლე მილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია უმაღლესი და სპეციალური განათლების მქონე კადრებით, ზოგჯერ სპეციალობების მიხედვით სათანადოდ არ არიან შერჩეული სკოლების დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. მაგალითად, ონის 1 და ირის საშუალო სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ისტორიკოსები არიან, გლოლისა და ონის II საშუალო სკოლებში — ისტორიკოსები და ლიტერატორებია, კვაშხიეთის საშუალო სკოლაში — ბიოლოგები.

გარკვეული ნაკლოვანებები შეინიშნება სასკოლო მუშაობის დაგეგმვაში. გლოლის, კვაშხიეთის, ირის საშუალო და ქვედის რვაწლიანი სკოლების წლიურ სამუშაო გეგმებში არ არის გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების სწავლების, ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლის, საპროგრამო მასალების გავლისა და ათვისების ხარისხის, სწავლებაში თვალსაჩინოებისა და სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენების საკითხების შემოწმება; გლოლის, კვაშხიეთის საშუალო და ქვედის რვაწლიანი სკოლების წლიურ სამუშაო გეგმებს არა აქვს წამძღვარებული შესავალი, ხოლო ონის II საშუალო სკოლის გეგმის შესავალი ნაწილი ზოგადია და არ არის მითითებული, თუ სკოლას გასულ სასწავლო წელს რა მიღწევები და ნაკლოვანი მხარეები გააჩნდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

კვაშხიეთის, ირის, სორის, გლოლის საშუალო და ქვედის რვაწლიან სკოლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული პედაგოგიური საბჭოს მუშაობა. პედაგოგიური საბჭოს ოქმები უწიგნურადაა გაფორმებული.

პედაგოგიური თვალსაზრისით არასწორადაა შედგენილი გაკვეთილების ცხრილი გლოლის, კვაშხიეთის, ირის, სორის, ონის მე-2 საშუალო და ქვედის რვაწლიან სკოლებში. ხშირ შემთხვევაში დღეები გადატვირთულია ძნელად ასათვისებელი საგნებით და ზოგჯერ ეს საგნები ცხრილში მეხუთე-მეექვსე გაკვეთილებზეა მოქცეული.

მონათესავე საგნები ცხრილში ერთმანეთის მიყოლებითაა შეტანი-ლი, სასწავლო გეგმიდან ზოგჯერ სწორად არაა გადმოტანილი ზოგ-ერთი საგნის დასახელება და დაცული არაა ცხრილის ფორმა (ქვე-დის რვაწლიანი სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათანადო სიმაღლეზე არაა დაყენებული საკლასო ჟურნალე-ბის წარმოება გლოლის, კვაშხიეთის, სორის საშუალო და ქვედის რვაწლიან სკოლებში. ჟურნალებში ჩანაწერები ხშირად უსუფთაოა, რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს მიმდინარე შეფასების ნიშნების გადასწორებას, ჟურნალში ყოველთვის სრულად არ იწერება დამუ-შავებული მასალა, დავალებად მიცემული ამოცანებისა და მაგალი-თების ნომრები და ჩატარებული საკონტროლო წერის თემები.

სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები საჭირო ზომებს არ ღებულობენ საყოველთაო-სავალდებულო რვა-წლიანი განათლების კანონის განხორციელებისათვის. ონის მე-2, სორის, გლოლისა და კვაშხიეთის საშუალო სკოლებიდან განთესი-ლია თითო მოსწავლე. ონის მე-2 საშუალო და ქვედის რვაწლიან სკოლებში ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა გათხოვების შემთხვევებს.

| | II ნაკადი—19. X—21. X . . . . . . . | 3 | 90 | „ | „ | 24 | | „ |
| | III ნაკადი—23. X—25. X . . . . . . . . | 4 | 120 | „ | „ | 24 | | „ |
| 2 | IV კლ. ბუნებისმცოდნეობის მასწავლებელთა (2. X—25. X) . . . . . . . . . | 2 | 60 | „ | „ | 64 | 8 | „ |
| 3 | X კლ. ფიზიკის მასწავლებელთა (2. X—16. X) . . . . . . . . . . . . . . . | 2 | 60 | „ | „ | 60 | 24 | „ |
| 4 | უფროს პიონერხელმძღვანელთა (16. X—22. X) . . . . . . . . . . . . . . | 4 | 120 | 7 დღე | „ | 36 | | „ |
| 5 | საბავშვო ბაღების აღმზრდელთა . . . . | 1 | 30 | 2 თვე | „ | 110 | 40 | წ/წყარო |
| 6 | X კლ. ფიზიკის მასწავლებელთა . . . . . | 2 | 60 | 15 დღე | „ | 56 | 32 | სოხუმი |
| 7 | სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა . . . | 1 | 30 | 1 თვე | „ | 120 | 30 | ბათუმი |
| 8 | სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა . . . | 1 | 30 | „ | „ | 120 | 30 | ქუთაისი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | IV—VIII კლ. ტექნიკური შრომის მასწავლებელთა (ქართული ჯგუფი) . . . . . . | 1 | 30 | 1 თვე | მოწყ. | 88 | 98 | ცხინვალი |
| 10 | სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორების მოადგილეების სპეციალობის მიხედვით (2. X—19. X) . . . . . . . . . . | 4 | 120 | 18 დღე | „ | 90 | 27 | თბილისი |
| 11 | სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორების მოადგილეების სპეციალობის მიხედვით (19. X—5. XI) . . . . . . . . . | 4 | 120 | „ | „ | 90 | 27 | „ |
| 12 | უფ. პიონერხელმძღვანელთა (23. X—29. X) | 4 | 120 | 7 დღე | „ | 36 | 27 | „ |
| | **ნოემბერი** | | | | | | | |
| 1 | სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორების მოადგილეების სპეციალობის მიხედვით (13. XI—29. XI) . . . . . . . . . | 4 | 120 | 18 დღე | „ | 90 | 27 | „ |
| 2 | ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტატური კურსის მასწავლებელთა (23. XI —29. XI) . . . . . . . . . . . . . . | 1 | 30 | 15 დღე | „ | 72 | | „ |
| 3 | სამხედრო ხელმძღვანელთა (27. XI—2. XII) | 3 | 90 | 7 დღე | მოუწყ. | 36 | | „ |
| 4 | პიონერთა სასახლეების დირექტორების (13. XI—20. XI) . . . . . . . . | 2 | 60 | „ | „ | 36 | | „ |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | აღმზრდელობითი მუშაობის დარგში სკოლა-ინტერნატების დირექტორების მოადგილეების . . . . . . . . . . . . | 1 | 30 | 1 თვე | მოუწყ. | 120 | 30 | თბილისი |
| 6 | ტაქსიდერმიის საკითხებში ბიოლოგიის მასწავლებელთა დახელოვნების . . . . . . | 1 | 30 | 15 დღე | მოუწყ. | 30 | 18 | ხაშური |
| 7 | VIII კლ. გეოგრაფიის მასწავლებელთა . . | 2 | 60 | „ | მოწყ. | 64 | 8 | სოხუმი |
| 8 | გერმანული ენის მასწავლებელთა (ქართული სკოლების) . . . . . . . . . . . . | 1 | 30 | „ | „ | 62 | 40 | ცხინვალი |
| 9 | საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების გამგეების . . . . . . . . . . . . . . | 1 | 30 | 1 თვე | „ | 110 | 40 | ქუთაისი |
| 10 | IV—VIII კლ. ტექნიკური შრომის მასწავლებელთა . . . . . . . . . . . . . | 1 | 30 | „ | „ | 88 | 98 | „ |
| | **დეკემბერი** | | | | | | | |
| 1 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა (1. XII—17. XII) . . . . . . | 1 | 30 | 17 დღე | დასწ. დაუსწ. | 60 | 88 | თბილისი |
| 2 | რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა (1. XII—17. XII) . . . . . . | 1 | 30 | „ | „ | 62 | 90 | „ |
| 3 | მათემატიკის მასწავლებელთა (1. XII—23. XII) . . . . . . . . . . . . . . | 1 | 30 | 23 დღე | „ | 56 | 115 | „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | ფიზიკის მასწავლებელთა (1. XII—17. XII) | 1 | 30 | 17 დღე | დასწ. დაუსწ. | 54 | 104 | თბილისი |
| 5 | ქიმიის მასწავლებელთა (1. XII—17. XII) . | 1 | 30 | " | " | 40 | 136 | " |
| 6 | საშუალო სკოლების ახლადდანიშნული დირექტორების (1. XII—22. XII) . . . . . | 2 | 60 | 12 დღე | " | 54 | 66 | " |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №803

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში ახალი პროგრამებით ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ

განვიხილე რა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში ახალი პროგრამებით ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებისათვის რესპუბლიკის რიგ სკოლა-ინტერნატში მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული: სკოლა-ინტერნატებში კეთილმოწყობილია ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტები, რომლებიც უზრუნველყოფილია ენის სწავლებისათვის საჭირო ტაბულებით, საქმიანი ქაღალდების ნიმუშებით, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიებითა და სხვ.

მოსწავლეთა სწორი მეტყველებისა და ინტონაციის გამოსამუშავებლად სკოლა-ინტერნატების მასწავლებლები ფართოდ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს, მწერალთა და კითხვის ოსტატთა ჩანაწერებს, გრამფირფიტებს, კომბინირებულ მაგნიტოფონებსა და სხვ.

კარგად მუშაობს ვ. მ. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლამარა მემარნიშვილი, ის ნაწარმოების შესწავლისას საკმაო ყურადღებას აქცევს იდეურ-მხატვრულ ანალიზს, იცნობს შესასწავლ ტექსტსა და ავტორის გამოსახვის საშუალებებს, ნაწარმოების მხატვრულ მხარესა და სტილს. მასწავლებელი სათანადო ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურის განვითარებას, საწერი მასალის მიზნობრივ შერჩევას, მოსწავლეთა ნაწერების გულდასმით გასწორებასა და ობიექტურ შეფასებას.

ქუთაისის საშუალო სკოლა-ინტერნატის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თამარ ბაბუხადია და ანა გამეზარდაშვილი კარგად ფლობენ საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იმ სიახლეებზე, რაც დაკავშირებულია ახალი პროგრამებით მუშაობასთან. მასწავლებლები სათანადო ყურადღებას უთმობენ ნაწარმოების ენობრივ-სტილისტურ საკითხებს, ტექსტის მხატვრულ კითხვასა და სალექსიკონო მუშაობას, ფართოდ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს, ფირზე ჩაწერილ გაკვეთილის მასალას და სხვ.

ხსენებულ სკოლა-ინტერნატში სერიოზული ყურადღება ექცევა საგნობრივი მეთოდგაერთიანებისა (ხელმძღვანელი მასწ. თ.. ბაბუხადია) და წრეობრივ მუშაობას. მეთოდგაერთიანების სხდომებზე ხშირად იხილება ახალი პროგრამებით ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის საკითხები, ეწყობა წაკითხული წიგნების განხილვა, ექსკურსიები, შეხვედრები მწერლებთან და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან.

ანალოგიური მდგომარეობაა ქუთაისის რვაწლიან სკოლა-ინტერნატშიც, რომელსაც გააჩნია კეთილმოწყობილი ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი ტექნიკური საშუალებებით.

თიანეთის სკოლა-ინტერნატის პირველი კლასის მასწავლებელი ნ. ბოდაველი სათანადოდ იცნობს პირველ კლასში ახალი პროგრამით სწავლების თავისებურებებს. ის შესასწავლი მასალის ათვისებას ძირითადად გაკვეთილზე აღწევს, მართებულად წარმართავს წერით სავარჯიშოებს, მოსწავლეებს წერის სწორ ნიმუშს აძლევს, რის გამო ყველა მოსწავლის კალიგრაფია კარგია. ამავე ინტერნატის მასწავლებლების მ. ქსნელაშვილის, რ. კვიცაშვილის, ე. სისაურისა და დ. გოხჯილაშვილის გაკვეთილები გამოირჩევიან სწორი ორგანიზაციით, მეთოდური სრულყოფითა და მაღალი მეცნიერული დონით. ისინი სისტემატურად მუშაობენ მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების ასამაღლებლად, ატარებენ სალექსიკონო მუშაობას, გრამატიკის სწავლებას მტკიცედ უკავშირებენ ლიტერატურულ მასალას, მოსწავლეთა ლექსიკის გასამდიდრებლად მიმართავენ სხვადასხვა სახის პრაქტიკულ მუშაობასა და ვარჯიშს, სწავლებაში ფართოდ იყენებენ მაგნიტოფირზე ჩაწერილ ცნობილ მწერალთა ხმებსა და სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის მუსიკალურ და ზუგდიდის სკოლა-ინტერნატებშიც.

ზუგდიდის საშუალო სკოლა-ინტერნატში სავსებით დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, კარგად მუშაობს სასკოლო ბიბლიოთეკა, ხშირად ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, სისტემატურად გამოდის გემოვნებით გაფორმებული მოსწავლეთა კედლის გაზეთი, ტარდება კითხვა-პასუხის საღამოები, ეწყობა ექსკურსიები და შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და სხვ.

ახალი პროგრამებით ქართული ენის და ლიტერატურის სწავლების საქმეში საკმაო მუშაობას ატარებენ სოხუმის მეორე და დრანდის სკოლა-ინტერნატები და სხვ.

მიუხედავად აღნიშნულისა, შემოწმებული სკოლა-ინტერნატების ერთი ნაწილი სათანადოდ და დროულად ვერ მოემზადა ქართული ენისა და ლიტერატურის ახალ სასწავლო პროგამებზე გადასასვლელად. აღნიშნული საგნის სწავლებისათვის სკოლა-ინტერნატებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი სათანადო პირობები. მშობლიური ენისა და ლიტერატურის კაბინეტები არაა უზრუნველყოფილი ტექნიკური საშუალებებით, ენის სწავლებისათვის საჭირო ტაბულებითა და სხვა თვალსაჩინო ლიტერატურით.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი არაა დაუფლებული სწავლების სიახლეებს, ისინი ნაკლებად ერკვევიან იმ საკითხებში, რასაც ახალი პროგრამა მოითხოვს.

ბროწეულას საშუალო სკოლა-ინტერნატის დაწყებითი კლასის მასწავლებელი ნინო ტყაბლაძე ახსნით კითხვას ვერ ატარებს მოსწავლეთა შემოქმედებითი აქტივობის გამოყენებით, ვერ უზრუნველყოფს გადასაცემი მასალის გაკვეთილზევე დასწავლას, რის შედეგადაც ბავშვებს გაუცნობიერებელი მასალა ეძლევათ დღის მეორე ნახევარში დასასწავლად. ასევე არადამაკმაყოფილებელია წერითი მეტყველების განვითარებაზე მუშაობაც. მასწავლებელი ნაკლებადაა დაუფლებული სწავლების სიახლეებს; ანალოგიური მდგომარეობაა მასწავლებელ მედეა შალამბერიძის კლასშიაც. მისი მუშაობა სრულიად არადამაკმაყოფილებელია სუფთა წერაში. მოსწავლეთა რვეულებში მხოლოდ წყვილეულ ასოთა გადაბმებია. მასწავლებელი ვერ ახერხებს მთლიანი შინაარსის შემცველი, სასწვლო-სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დანიშნულების მქონე ტექსტების შერჩევას. ამავე სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი ვახტანგ მამაგეიშვილი ნაკლებად ერკვევა იმ საკითხებში, რასაც მოითხოვს

IV—VIII კლასების ახალი პროგრამა, ის საჭიროებს დახმარებას ახალი პროგრამის მოთხოვნათა მიხედვით მუშაობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდის საშუალო სკოლა-ინტერნატის X კლასის მასწავლებელს შალვა სოსელიას უჭირს მაღალ კლასებში მუშაობა, მისი მეტყველება დაუხვეწავი და ღარიბია, საუბრის დროს ხშირად უშვებს შეცდომებს „წორია", „მერთამე" და სხვ. მასწავლებელი არ ცდილობს შეასრულოს დირექციის მიერ მიცემული მითითებები და კვლავ განაგრძობს შეცდომებით მუშაობას. მასწავლებელი სოსელია არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს ქართული ენისა და ლიტერატურის წრის მუშაობას. სამუშაო გეგმით გათვალისწინებული 6 საკითხიდან შემოწმების დღისათვის არც ერთი საკითხი არ იყო შესრულებული.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე სოხუმის მეორე სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი თამარ ქარდავა. ის თავს ვერ ართმევს მუშაობას, გაკვეთილებს უფეროდ ატარებს, IX კლასში ნაწარმოების ანალიზის ნაცვლად შინაარსის გადმოცემით იფარგლება და უყურადღებოდ რჩება ნაწარმოების იდეური მხარე, სწავლებისას არ მიმართავს თვალსაჩინოებას, უხარისხოდ ასწორებს მოსწავლეთა წერით ნაშრომებს.

შემოწმებული სკოლა-ინტერნატების ზოგიერთი აღმზრდელ-მასწავლებელი, რომელიც არ იცნობს და სათანადოდ ვერ ერკვევა ახალ პროგრამებსა და სწავლების სიახლეებში, სუსტად წარმართავს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას და უფეროდ ატარებს მას.

რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებში ახალი პროგრამებით ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემოწმებით გამოვლინებული ნაკლოვანებები ნაწილობრივ გამოწვეულია იმითაც, რომ ზოგიერთ სკოლა-ინტერნატში სუსტადაა დაყენებული შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. სკოლა-ინტერნატის დირექტორები და სასწავლო მუშაობის დარგში მათი მოადგილეები სათანადო ხელმძღვანელობას, დახმარებასა და კონტროლს ვერ ახორციელებენ და ღრმად ვერ სწვდებიან მასწავლებელთა მუშაობის შინაარსში.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში ახალი პროგრამებით ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას ისიც უშლის ხელს, რომ ინტერნა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტები საკმაო რაოდენობით არ არის უზრუნველყოფილი ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებით.

რესპუბლიკის პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთები ჯერ კიდევ ნაკლებად ეხმარებიან ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებათა საკითხებს, იშვიათად აქვეყნებენ მეთოდური ხასიათის წერილებს, სათანადო დახმარებას ვერ უწევენ დამწყებ, გამოუცდელ მასწავლებლებს.

ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით ვერ მოხერხდა სკოლა-ინტერნატების ქართული ენისა და ლიტერატურის ყველა მასწავლებლის გადამზადება.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი პროგრამებით სწავლების საქმეში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლა-ინტერნატების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა თავის თავზე სისტემატური მუშაობით აიმაღლონ კვალიფიკაცია, საფუძვლიანად მოემზადონ თითოეული გაკვეთილისათვის, სწავლებაში მაქსიმალურად გამოიყენონ თვალსაჩინოება, სისტემატურად გაეცნონ იმ სიახლეებს, რაც ახალი პროგრამითაა გათვალისწინებული.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი განახორციელონ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად დაესწრონ მათ გაკვეთილებს და უზრუნველყონ ახალი პროგრამებით სწავლებაში შემჩნეული ნაკლის გამოსწორება;

ბ) ზუსტად დაიცვან ცალკეული კლასების ახალ სასწავლო პროგრამებზე გადასვლის გრაფიკი და დროულად უზრუნველყონ ამ საქმეში საჭირო მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება;

გ) მიიღონ საჭირო ზომები ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტებისათვის საჭირო ოთახის გამოყოფაზე და მათი ტექნიკური საშუალებებით, ტაბულებითა და თვალსაჩინო ლიტერატურით უზრუნველსაყოფად;

დ) იზრუნონ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. სწავლებაში თვალსაჩინოებისა და სიახლის ფართოდ დასანერგად.

3. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სისტემატურად შეისწავლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში ახალი პროგრამებით ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა და შემოწმებით გამოვლინებულ ნაკლთა აღმოსაფხვრელად გაატარონ საჭირო ღონისძიებანი;

ბ) მეტი დახმარება აღმოუჩინონ ამ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებს და თუ ისინი მომავალში ვერ მოახერხებენ გამოვლინებულ ნაკლთა გამოსწორებას, სათანადო წესის დაცვით, გაათავისუფლონ სამუშაოდან;

გ) მიიღონ საჭირო ზომები პედაგოგიური კაბინეტების ხაზით მშობლიური ენისა და ლიტერატურისა და დაწყებითი კლასების მასწავლებელთა სექციების მუშაობის გამოსაცოცხლებლად და ამ მუშაობაში სკოლა-ინტერნატების მასწავლებელთა აქტიურად ჩასაბმელად.

4. არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის გაფრთხილებულ იქნენ სკოლა-ინტერნატის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ნინო ტყაბლაძე, მედეა შალამბერიძე, ვახტანგ მამაგეიშვილი, შალვა სოსელია, თამარ ქარდავა.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. ი. ზახაშვილი) ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან ერთად უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების მასწავლებელთა გადამზადება ახალ პროგრამებზე გადასვლის გრაფიკის შესაბამისად.

6 .საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე) მოამზადოს და გამოაქვეყნოს მეთოდური წერილების სერია მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში სწავლების საკითხებზე ახალი პროგრამების მოთხოვნათა შუქზე.

7. გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, გ. საჯაია) სისტემატურად გამოაქვეყნონ მეთოდური წერილები მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების აქტუალურ საკითხებზე ახალი პროგრამების მოთხოვნილებათა შესაბამისად.

8. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 24 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 31 დეკემბრის ბრძანება № 804

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში 1971—1972 სასწავლო წელს აღსაზრდელთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ

წარმოდგენილი მასალებითა და ადგილებზე ჩატარებული შემოწმებით დასტურდება, რომ თბილისის ფიზიკა-მათემატიკური, რვაწლიანი, კოჯრის, ბათუმის № 2 ,გურჯაანის, ჯავის, ინგირის, თელავის, ატენის, კალდახვარისა და მთელ რიგ სხვა სკოლა-ინტერნატებში შესრულდა 1971—1972 სასწავლო წლის აღსაზრდელთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა.

მიუხედავად აღნიშნულისა, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელები სათანადო მუშაობას არ აწარმოებენ აღსაზრდელთა სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის შესრულების უზრუნველსაყოფად. სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული 22300 აღსაზრდელის ნაცვლად რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში 1971 წლის 5 სექტემბრისათვის ირიცხებოდა 21719 აღსაზრდელი.

მიმდინარე, 1971—72 სასწავლო წელს აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმის შესრულების საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩნენ: ყაზბეგის სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ამხ. ა. კობაიძე), რომელსაც დააკლდა 121 აღსაზრდელი, მესტიის სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ამხ. ქ. ყორყოლიანი) 67 აღსაზრდელი, გეგეჭკორის სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ამხ. მ. მამარდაშვილი) 60 აღსაზრდელი, სოხუმის № 2 სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ამხ. შ. ჩალაძე) 58 აღსაზრდელი, ახალციხის № 2 სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ამხ. ვ. ფოცხვერაშვილი) 56 აღსაზრდელი, ზუგდიდის რაიონის ახალსოფ-

ლის სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ამხ. ა. ჭითანავა) 54 აღსაზრდელი, სიღნაღის რაიონის ბოდბის სკოლა-ინტერნატი (დირექტორი ამხ. ა. აბულაშვილი) 48 აღსაზრდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმა არ აქვთ ასევე შესრულებული ქუთაისის საშუალო, ფოთის, ბარისახოს, ლენტეხის, ლანჩხუთის, თეთრიწყაროს, ჩხოროწყუს, ახმეტის რაიონის მატნის, გლდანის № 1 და № 2 სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატებს და სხვ.

აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმის შესრულებას ხელი შეუშალა იმ გარემოებამაც, რომ 1971 წლის 1-ელ სექტემბრისათვის არ გახსნილა დაგეგმილი ლენინგორის სკოლა-ინტერნატი 280 აღსაზრდელზე.

ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიასთან ერთად არ ავლენს და არ ზრუნავს იმ ბავშვების სკოლა-ინტერნატებში მოწყობისათვის, რომლებიც სახელმწიფო მზრუნველობას საჭიროებენ, ხოლო სკოლა-ინტერნატების დირექტორები არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს აღსაზრდელთა სკოლა-ინტერნატებიდან უმიზეზოდ განთესვის თავიდან ასაცილებლად.

ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც სკოლა-ინტერნატებიდან აღსაზრდელებს აბარებენ ისეთ ოჯახებს, სადაც მათი სათანადო სწავლა-აღზრდისათვის არ არის შექმნილი საჭირო პირობები.

მომავალში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ასსრ განათლების მინისტრებმა, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უახლოეს მომავალში შეისწავლონ თითოეულ სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელთა კონტინგენტის შეუსრულებლობის მიზეზები და დასახონ საჭირო ღონისძიებანი მომავალში აღსაზრდელთა კონტინგენტის სახალხო-მეურნეობის გეგმის შესასრულებლად;

ბ) მიიღონ ზომები იმ ბავშვების სკოლა-ინტერნატებში მოწყობისათვის, რომლებსაც სახელმწიფო მზრუნველობა ესაჭიროებათ.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) სისტემატურად იზრუნონ და ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ აღსაზრდელთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესასრულებლად;

ბ) სათანადო მუშაობა ჩაატარონ სკოლა-ინტერნატებიდან იმ ბავშვების განთესვის თავიდან ასაცილებლად, რომლებსაც ოჯახებში არ გააჩნიათ სწავლისა და აღზრდისათვის სათანადო პირობები.

3. გაფრთხილებულ იქნენ ყაზბეგის, მესტიის, გეგეჭკორის, სოხუმის № 2, ახალციხის № 2, ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის, სიღნაღის რაიონის ბოდბის სკოლა-ინტერნატების დირექტორები (ამხ. ამხ. ა. კობაიძე, კ. ყორყოლიანი, მ. მამარდაშვილი, შ. ჩალაძე, ვ. ფოცხვერაშვილი, ა. ჭითანავა, ა. აბულაშვილი) თუ ისინი მომავალში ვერ უზრუნველყოფენ აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმის შესრულებას, მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

4. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა 1972 წლის 30 სექტემბრისათვის მოხსენებითი ბარათი წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს ამ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებების სალიკვიდაციოდ და აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმის შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ.

5. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 24 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი — თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 31 დეკემბრის ბრძანება № 805

### დამხმარე სკოლა-ინტერნატებში გაზრდილი პროფესიულ-შრომითი მომზადების მე-9 კლასების გახსნის შესახებ

სსრ კავშირის განათლების მინისტრის 1969 წლის 26 მაისის № 32 და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 16 ივლისის № 408 ბრძანებების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. 1972—73 სასწავლო წლიდან თბილისის № 1 და № 2, გუმათისა და კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატებსა (დირექტორები: ამხ. ამხ. მ. დუდუჩავა, ნ. დუმბაძე, რ. მოწონელიძე, ი. ცხოიძე) და ქ. თბილისის დამხმარე სკოლაში (დირექტორი ამხ. დ. გოქსაძე) გაიხსნას გაზრდილი პროფესიულ-შრომითი მომზადების მე-9 კლასები.

2. გაზრდილი პროფესიულ-შრომითი მომზადების მე-9 კლასების მქონე დამხმარე სკოლა-ინტერნატებისა და სკოლის დირექტორებმა:

ა) აღნიშნულ კლასებში ჩარიცხონ დამხმარე სკოლა-ინტერნატების და სკოლის ის კურსდამთავრებულები, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ინტელექტის დონით შეუძლიათ დაეუფლონ მოცემულ სკოლა-ინტერნატში თუ სკოლაში დაწესებულ პროფესიას;

ბ) დაუყოვნებლივ შეუდგნენ საჭირო რაოდენობის ხელსაწყო-იარაღების შეძენას და 1972 წლის 1-ელ სექტემბრამდე სრულ წესრიგსა და მზადყოფნაში მოიყვანონ საწარმოო სწავლების ხაზები: სახელოსნოები და მიწის ნაკვეთები;

გ) IX კლასების მოსწავლეების პრაქტიკის ჩატარების უზრუნველსაყოფად მტკიცე კავშირი დაამყარონ სამრეწველო საწარმოებთან, კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან;

დ) მოსწავლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები სპეციალობებში, როგორც წესი, მოაწყონ იქ, სადაც ჩატარდა პრაქტიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსთან ერთად უზრუნველყოს 1972—1973 სასწავლო წლისათვის გაზრდილი პროფესიულ-შრომითი მომზადების 5 კლასის გახსნა სპეციალური სკოლებისათვის დამტკიცებული კონტინგენტისა და ბიუჯეტის ასიგნებთა ფარგლებში.

4. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1970 წლის 31 ივლისის № 53 ბრძანების შესაბამისად უზრუნველყოს გაზრდილი პროფესიულ შრომითი მომზადების მე-9 კლასების მქონე დამხმარე სკოლა-ინტერნატები საჭირო რაოდენობის მანქანა-დანადგარებით, სამუშაო იარაღითა და მასალებით.

5. სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების მეთოდკაბინეტმა (ამხ. მ. ყოლბაია) მოამარაგოს დამხმარე სკოლა-ინტერნატები შრომითი და საწარმოო მომზადების პროფილების შესაბამისი პროგრამებით.

6. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) სისტემატური კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების ცხოვრებაში განხორციელებაზე;

ბ) 1972—73 სასწავლო წლის მეორე ნახევარში შეისწავლოს გაზრდილი პროფესიულ-შრომითი მომზადების მე-9 კლასების მუშაობა და შედეგი მოახსენოს კოლეგიას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 24 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი
თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 13 იანვრის ბრძანება № 16

### რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სასკოლო ობიექტების მშენებლობისა და სიმძლავრეთა ექსპლოატაციაში გადაცემის გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 1971 წლის 1 დეკემბრისათვის

სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხაზით გათვალისწინებული იყო მიმდინარე 1971 წელს სკოლების მშენებლობის დამთავრება და საექსპლოატაციოდ გადაცემა — 23,387 მოსწავლის ადგილით; ბაგა-ბაღების — 5.800 ბავშვ ადგილით, სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსების და სასკოლო ინტერნატების 4400 კვ. მეტრის ფართობით, რაზედაც უნდა დახარჯულიყო სახელმწიფო კაპდაბანდების 15469,0 ათ. მანეთი, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე 13767,0 ათ. მანეთი.

ფაქტიურად 1971 წლის 1 დეკემბრისათვის დამთავრდა და გადაეცა საექსპლოატაციოდ სკოლების ახალი შენობები 20415 მოსწავლის ადგილით ანუ გეგმის 100%, საბავშვო ბაგა-ბაღები 890 ბავშვ ადგილით ანუ — 29,4%-ი. სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსები და სასკოლო ინტერნატები 2560 კვ. მეტრი ანუ 58%-ი.

მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს და გადაეცეს საექსპლოატაციოდ ბაგა-ბაღები 2910 ბავშვ ადგილზე და საბინაო მშენებლობა 1840 კვ. მეტრი ფართობით.

1971 წლის 20 ნოემბერს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში ჩატარებულ კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე, სადაც მოსმენილი იქნა ინფორმაცია სასკოლო და საბავშვო დაწესებუ-

ლებათა ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ, მოიჯარადრე მშენებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მიმდინარე წელს ყველა დამამთავრებელი და ექსპლოატაციაში გასაშვები განათლების ობიექტები მზად იქნება წლის ბოლოსათვის.

მიუხედავად ამისა, როგორც შემოწმებამ დაგვანახა, დღეისათვის ძალზედ ჩამორჩება ბაგა-ბაღების მშენებლობა — წალენჯიხაში, სადაც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წლიური გეგმა 1 დეკემბრისათვის შესრულებულია მხოლოდ 12%-ით, ჩოხატაურში 16%-ით, ზნაურში 34%-ით, ლანჩხუთში 42%-ით, მანგლისში 44%-ით, წალვერში 45%-ით და ქობულეთში 50%-ით, ზემოთ ჩამოთვლილ ბაგა-ბაღების მშენებლობებზე, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ფაქტიურად შეჩერებულია და მოიჯარადრე მშენებელი ორგანიზაციები მოითხოვენ აუთვისებელი თანხებისა და ექსპლოატაციაში გადასაცემი სიმძლავრეების მოხსნას.

ჩამორჩება აგრეთვე ბაგა-ბაღების მშენებლობა თერჯოლაში, დუშეთში, ხეთაში, მახაჩკალაში, გლდანში, ბათუმში, ვარკეთილში. აღნიშნული ობიექტების მშენებლობაზე წლიური გეგმის შესრულება არ აღემატება 60-70%-ს.

საერთოდ სასკოლო მშენებლობაზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების 1971 წლის გეგმა დღეისათვის შესრულებულია 98%-ით. (გეგმა 15,973 ათ. მანეთი, შესრულება 15,541 ათ. მან.) ე. ი. წლის ბოლომდე დეკემბრის თვეში ასათვისებელი რჩება 432 ათ. მანეთი.

მიმდინარე წლის 21 დეკემბრისათვის გამოყოფილ სახელმწიფო კაპდაბანდებიდან ათვისებული აქვთ:

— აფხაზეთის ასსრ-ს 1154 ათ. მანეთიდან, 988 ათ. მანეთი ანუ გეგმის 86%-ი.

— აჭარის ასსრ-ს 908,0 ათ. მანეთიდან 898,0 ათ. მანეთი ანუ გეგმის 99%-ი.

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს 647,0 ათ. მანეთიდან 637,0 ათ. მანეთი.

— ქ. თბილისს 4200,0 ათ. მანეთიდან 3634,0 ათ. მანეთი, ანუ გეგმის 86%-ი.

— რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებს 11.726,0 ათ. მანეთიდან 11.479,0 ათ. მანეთი ანუ გეგმის 98%-ი.

მიმდინარე წელს ექსპლოატაციაში გადასაცემი სასკოლო ობიექტების მშენებლობის დამთავრების უზრუნველყოფის მიზნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ეთხოვოს საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს ამხ. გრ. ვაშაკიძეს, მიიღოს საჭირო ზომები ქ. თბილისში ჩამორჩენილი ორი ბაგა-ბაღის მშენებლობაზე შიგა მოპირკეთებითი სამუშაოების დასამთავრებლად; რომ საშუალება მიეცეს „საქმონტაჟსპეცმშენის" სამმართველოს შეასრულოს ა/წლის ბოლომდე ცენტრალური გათბობის, წყალსადენ-კანალიზაციის და ელექტრომონტაჟის სამუშაოები.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქმონტაჟსპეცმშენის" სამმართველოს უფროსს ამხ. ბ. ბარსუკოვს:

დააჩქაროს დაწყებული სანტექნიკური სამუშაოების დამთავრება ქ. დუშეთის, ქ. ზესტაფონის, თერჯოლის, ქ. თბილისის, ქ. მახარკალის, ხეთის საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობაზე;

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრს ამხ. ი. ხარატიშვილს დააჩქაროს გალისა და მანგლისის საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობაზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და უზრუნველყოს მისი დამთავრება მიმდინარე წლის ბოლომდე.

4. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს დააყენონ საკითხი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე საჭირო ზომების მისაღებად მიმდინარე წელს დასამთავრებელი და ექსპლოატაციაში გადასაცემი განათლების ობიექტების მშენებლობის აუცილებლივ დამთავრების, სიმძლავრეთა ექსპლოატაციაში გადაცემისა და დაშვებული სახელმწიფო კაპდაბანდების თანხების მთლიანად ათვისებისათვის.

5. დაევალოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას (ამხ. ს. უჩანეიშვილი):

ა) შეამოწმოს ბაგა-ბაღების მშენებლობაზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩამორჩენის მიზეზები და მოამზადოს საკითხი ზემდგომი ორგანოებისათვის მოსახსენებლად.

ბ) მიმდინარე წლის დეკემბერში გადაანაწილოს ფინანსირება იმ ობიექტებზე, სადაც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები გადაჭარბებით სრულდება, ჩამორჩენილი ობიექტების ხარჯზე და დაავალოს ინჟინერ-ტექზედამხედველებს გადაუხადონ მოიჯარადრე მშენებელ

ორგანიზაციებს შესრულებული სამუშაოების ღირებულება და შე-
დგინონ ადგილზე ურთიერთშედარების აქტები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 24 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილება

**1971 წ. 29 ოქტომბერი**

**ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის 50-ე წლისთავის ზეიმის მზადებასა და ჩატარებაში სახალხო განათლების ორგანოების მონაწილეობის შესახებ**

1972 წლის 19 მაისს ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერულ ორგანიზაციას უსრულდება 50 წელი. ეს თარიღი დიდი მოვლენაა კომკავშირის, პიონერების, საბჭოთა სკოლის, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის მთელი სისტემის განუყოფელ ნაწილს. იგი ზრდის მოსწავლეებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის სახელოვან ტრადიციებზე, უყალიბებს მათ საზოგადოებრივი აქტივობის ჩვევებს. მილიონობით საბჭოთა ადამიანმა პიონერულ ორგანიზაციაში მოქალაქეობრივი წრთობისა და ზრდის სკოლა გაიარა.

იუბილესათვის მზადება საშუალებას გვაძლევს ავამაღლოთ ბავშვთა თვითმოქმედი კომუნისტური ორგანიზაციის როლი მოსწავლეთა აღზრდის საქმეში.

ანიჭებს რა უდიდეს მნიშვნელობას მომავალ იუბილეს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია ა დ გ ე ნ ს:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50-ე წლისთავის ზეიმის მომზადებასა და ჩატარებაში.

— ზეიმისათვის მზადება გამოიყენონ სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობისა და მოსწავლეთა თვითმოქმედების შემდგომი განვი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარების საფუძველზე პიონერული ორგანიზაციის როლისა და ავ-
ტორიტეტის ამაღლებისათვის.

— იზრუნონ უფროს პიონერხელმძღვანელთა პედაგოგიური და პროფესიული ოსტატობის ამაღლებისათვის. კომკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით უფროს პიონერხელმძღვანელებად შეარჩიონ უმაღლესი განათლების მქონე, ინიციატივიანი ახალგაზრდები, ყოველდღიური დახმარება გაუწიონ მათ პიონერული ორგანიზაციის ამოცანების წარმატებით გადაჭრაში.

— კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან ერთად 1972 წლის 1 თებერვლისათვის უზრუნველყონ ფვითეული სკოლა პიონერული ატრიბუტებით (რაზმეულის დროშა, რაზმის ალამი, ოქტომბრელთა ალამი, საყვირები, დოლები), ჩაატარონ უფროს პიონერხელმძღვანელთა საოლქო, საქალაქო, რაიონული შეკრებები.

2. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა (გ. საყვარელიძე, თ. ზახაშვილი) პედაგოგთა გადამზადების კურსებზე, მასწავლებელთა თათბირებზე, პედაგოგიურ კითხვებზე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ისტორიისა და საუკეთესო პიონერული კოლექტივების მუშაობის პროპაგანდას; ვ. ი. ლენინის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 50-ე წლისთავის ზეიმისადმი მზადების საკითხებს.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ს. არველაძე) აღნიშნული ღონისძიება უზრუნველყოს საჭირო მასალებით.

4. ეთხოვოს გამომცემლობა „განათლებას" (ხ. ბერულავა) პიონერული ორგანიზაციის იუბილესათვის უზრუნველყოს სათანადო ლიტერატურის გამოცემა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ი. ბერიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. ბრძანება № 737 — საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 23 ნოემბრის № 654 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ . 3

2. ბრძანება № 781 — ცხინვალის რაიონის ერედვის საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ . 9

3. ბრძანება № 784 — ქ. ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილების მიერ სკოლამდელი დაწესებულებებისადმი ხელმძღვანელობის, დახმარებისა და კონტროლის გაუმჯობესების მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ . . . . . . . . 12

4. ბრძანება № 788 — სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნასთან დაკავშირებით მშრომელთა საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ . 20

5. ბრძანება № 792 — მოსწავლეთა და განათლების მუშაკთა ეკონომიური განათლების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ . 22

6. ბრძანება № 796 — ონის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 25

7. ბრძანება № 800 — მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1971 წლის შედეგებისა და 1972 წლის გეგმის შესახებ . . . . . . . . . 31

8. ბრძანება № 803 — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში ახალი პროგრამებით ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ . . . . . . 59

9. ბრძანება № 804 — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში 1971—1972 სასწავლო წელს აღსაზრდელთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ 66

10. ბრძანება № 805 — დამხმარე სკოლა-ინტერნატებში გაზრდილი პროფესიულ-შრომითი მომზადების მე-9 კლასების გახსნის შესახებ . 69

11. ბრძანება № 16 — რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სასკოლო ობიექტების მშენებლობისა და სიმძლავრეთა ექსპლოატაციაში გადაცემის გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 1971 წლის 1-ლი დეკემბრისათვის. 71

12. დადგენილება — ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის 50-ე წლისთავის ზეიმის მზადებასა და ჩატარებაში სახალხო განათლების ორგანოების მონაწილეობის შესახებ 75

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

**ფასი 14 კაპ.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IV-72 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5

შეკვ. № 391. უე—05361 ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
**Типография № 11 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете
Министров ГССР ул. Уш. Чхеидзе № 19**